

2
1952

საბჭოთავო სოციალიზმი

ქართული
ბიბლიოთეკა



ნახ. ა. კახელაიკისა

ნ ი ა ნ ბ ი

აკანის გასაქმის დროს კოლხეანოვანი

ძველი, მანკიერი სტილით მუშაობის შეცვლამ ბევრ კოლმეურნეობას შემატა დოვლათი.

№ 15 თბილისი აგვისტო 1952 წ.

გაბომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXX. ფანი 2 მან.

— ამ ურმების მიხედვით ახლა უკვე ვეღარ მიხვდები თავ-
მჯდომარე რომელ გზაზე ცხოვრობს!

მეფე ფარუკი გაიქცა ეგვიპტიდან. ტანტი დაუტოვა თავის შვიდი თვის ვაჟს.

გაზეთებიდან

ნაზ. ი. თბილელისა



— მამა ყოჩალი გამოდგა გაქცევაში, ნეტავი შვილი როდისღა აიდგამს ფეხს!

ტოკიოში მაკარტურისათვის მემორიალური პავილიონის ასაგებად შემოწირულების შესაკრებ აგიტაციაზე დაიხარჯა 2900 დოლარი, შემოწირულებამ კი 222 დოლარს ძლივს მიაღწია.

გაზეთებიდან

ნაზ. ი. ქოქიაშვილისა



— მე რა ვქნა, სერ, კორეის ფრონტიდანაც ასეთი ანგარიშით წაბრძანდა ბატონი მაკარტური!

თხა და ფინინსპექტორი

(სარტიხალური არაჰი) **მარცხენალი**
გეგლითქვეს

ცხოვრობდა საგარეჯოში და ფინგანში ქალაქდებმა კორიანტელს აყენებდა ფინინსპექტორი ქვრივიშვილი. ეჭირა ხელში კალაში ქვრივიშვილს, წინ საანგარიშო ედო და ბეგრავდა გადასახადით ყველას, ვინც კი საგარეჯოს რაიონში გაივლ-გამოივლ. და.

ზოგი იხდიდა გადასახადს, ზოგი არ იხდიდა. ერთი ასეთი ურჩი ვადამხდელი ვახლდათ სართიქალელი სოლომონ მჭედლიშვილი. სოლომონს სულ 172 მანეთი ემართა ფინგანისა: უშვილობის თხუთმეტი თუმანი და ოცდარო მანეთიც სასოფლო-სამეურნეო.

მივიდა სოლომონთან ფინგანტი ქონების ასაწერად.

„პირუტყვი თუ გყავს რამეო“, ჰკითხა სოლომონს.

„თხა მყავს ერთიო“, მიუგო სოლომონმა.

მაშინ ბოსელს მიადგა ფინგანტი და დაიძახა:

„თიკი თიკი მეე,

კარი გამიღეე“...

მაგრამ თხა მინდორში იყო წასული საბალახოდ, ბოსელში, აბა, რა შავ ჰქირს მიირთმევდა!

ფინგანტმა ქვრივიშვილს მოახსენა: „ურჩ სოლომონს თხა ავუწერე, მაგრამ სადღაც ვადამალაო“.

ქვრივიშვილი ფინგანის გამგესთან მივიდა:

„ურჩობს სოლომონ მჭედლიშვილი, არც გადასახადს იხდის და აწერილი თხაც ვადამალა, პროკურორს ვადავცეთო“.

„ვადავცეთო“, უპასუხა ფინგანის გამგემ ბურღულმა და ქალაქი დაწერეს პროკურორის სახელზე. პროკურორმა გამოძიებელს გადასცა ქალაქი.

„თხა რა უყავიო? ჰკითხა გამოძიებელმა სოლომონს.

„მინდორში იყო საბალახოდ, თიკანი მოიგო და სახლში ორნი დაბრუნდნენ, ახლაც ორივენი საბალახოდ არიანო. თქვენც გეყოლებათ თხა ან ცხვარი, ბუნებამ გიმრავლოთო“.

„ბუნებას თავი დაანებე და ფული ვადიხადეო“, ვაბრაზდა გამოძიებელი.

„ფული არა მაქვს და ვერ ვადვიხდიო“, უფრო გაურჩიდა ურჩი სოლომონი.

მაშინ ძიება დაწერა გამოძიებელმა: „ურჩი სოლომონი გადასახადს არ იხდის, აწერილი თხაც ვადამალა და სისხლის სამართლის კოდექსის 182 მუხლის მეორე ნაწილი წაეყენოსო“. დაწერა ძიება და პროკურორს გადასცა.

პროკურორმა ძიებას დახედა და დააწერა: „182 მუხლი რა ყოფილა, ურჩ სოლომონს 4 ივნისის ბრძანებულება წაუყენე სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის და აბა, შენ იცი მოსამართლე, თხუთმეტი წელს თუ ვერ გაიმეტებ, ათი წელი მაინც მიუსაჯეო“.

იარა გამოძიებელ პროკურორის ქალაქდმა, იარა და სასამართლოს მიადგა.

მოსამართლემ დახედა პროკურორის ქალაქდს და თქვა: „ქუდი დავდოთ, სამართალი ვქნათ, სოლომონს ასეთი არაფერი დაუშავებიაო“. და შეიქნა უთანხმოება პროკურორსა და მოსამართლეს შორის.

მაგრამ თხა-კიკინამ, გაიგო თუ არა თავისი პატრონის, ურჩი სოლომონის უბედურება, ველარ მოითმინა, თიკანი წინ გაიგდო, გზა ბაკი ბუკით გაიარა, რაიფინგანს მიადგა და დაიძახა:

„თიკი თიკი მეე,

კარი გამიღეე“...

თხა-კიკინას კარი გაუღეს და ფინინსპექტორი ქვრივიშვილს ეახლა: „ვინა ყოფილხარ, ძამიკოო, — უთხრა მან ფინინსპექტორს, — მე თხა ვარ და იმდენი თუ ვამეგება, რომ სა-მოცდაექვსი წლის კაცს უშვილობის გადასახადი არ ეკუთვნის, შენ რა თანამდებობა ვაგიწყრაო!“.

მხოლოდ ახლა მიხვდა ფინინსპექტორი ქვრივიშვილი, რომ სოლომონ მჭედლიშვილი 1886 წელს იყო დაბადებული და უშვილობის გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა...

გია



სულ ოთხი თუ ხუთი თვის წინათ მე გახლდით სრულიად უცნობი მოქალაქე. არა, ნაცნობები მყავდა, მაგრამ მიცნობდნენ მხოლოდ ჩემი ნათესავ-მეგობრები.

პროფესიით ღვინის დეგუსტატორი ვარ. მოკლედ რომ ვთქვათ, მე ვარ ღვინის ხარისხის შემმოწმებელი.

სრულიად მოულოდნელად ყველა გავაკვირვე მით, რომ მეღვინეობის საკითხზე მეცნიერული ნაშრომი დავეწერე.

კინალამ პრეზიაზე წარმადგინეს. გაზეთში გამოცხადდეს. არ გასულა დიდი ხანი ამის შემდეგ და ჩემს ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი. გადავწყვიტე, თქვენ წარმოადგინეთ, პიესის დაწერა! ეს ჩემი გადაწყვეტილება ვაცნობე ერთ-ერთ თეატრს და, რაღა დაგიმალოთ, პიესაც წარვადგინე. პიესა თეატრს არ დაუდგამს, მაგრამ სამჯერ გაზეთში და ოთხჯერ რადიოში გამოაცხადდეს, რომ მე, ბართლომე ჭანჭიკაშვილმა დავეწერე პიესა.

გავარდა ჩემი სახელი მთელს რესპუბლიკაში, მაგრამ რა გავარდა!

ჩემმა ნათესავ ნაცნობ-მეგობრებმა გადასწყვიტეს ჩემი გამოყენება სხვადასხვა საქმეების მოსაგვარებლად.

ამას წინათ ქუთაისიდან ერთი ნაცნობი ქალი მცწვია. თან ახლდა მარგალიტივით ქალ-ვაჟი.

— აი, ჩემო ბართლომე, შენ უნდა იყო ამათი მამა! — თქვა ქალმა.

შიშისაგან ფერფური დავკარგე.

— როგორ, ქალბატონო, რატომ უნდა ვიყო მე თქვენი შვილების მამა!

— ან უნდა გამოაშვებინო მაგათი მამა, რომელიც მთელი თვეა დაპატიმრებულია, ან არა და თქვენ უნდა უპატრონოთ მის შვილებს.

— რისთვის დააპატიმრეს?

— ხილბოსტანკავშირში მუშაობდა. როსტოვში გაგზავნა ოთხი ტონა ხილი, რომელიც დამპალი აღმოჩნდა. ამისათვის ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს... უნდა გამოაშვებინოთ.

— მერე როგორ უნდა გამოაშვებინო, თუკი დამპალი ხილი გაუგზავნია...

— უმაღლეს სასამართლოში მაქვს გასაჩივრებული... რომ არ გამოუშვან, ამ ბავშვებიანად გადავვარდები მტკვარში, რიონში, ალაზანში, წყალწითელაში...

ქალმა დაასახელა მრავალი მდინარე და ზღვა (მათ შორის თბილისის ზღვაც), სადაც გადავარდნას აპირებდა, თუკი მის ქმარს არ გაანთავისუფლებდნენ.

თავში ერთვა ნათელმა აზრმა გამიელვა და ქალს ვუთხარი:

— ვეცდები, ყველას ვნახავ, მოველაპარაკები, მაგრამ შეიძლება არ მოხერხდეს... რაც არ უნდა იყოს დამპალი ხილი გაუგზავნია.

სტუმარმა დაიწინა მენახა უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, რომლის თავმჯდომარეობითაც საქმე უნდა გარჩეულიყო. მე მას პირდაპირ კაბინეტში ვეწვიე (ქალი მისაღებ ოთახში გავაჩერე). მოსამართლე ჩემი ძველი ნაცნობია, კარგად მიმიღო, განომაცხილა დერეფანში, ჩამომართვა ხელი და დაბრუნდა კაბინეტში. ქალმა ყველაფერი ეს დაინახა და მზად იყო აღტაცებისაგან გადამხვევოდა.

მესამე დღეს დანიშნული იყო საქმის განხილვა. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ მეტად გულთბილად ილაპარაკა.

— სახალხო სასამართლოს განაჩენი, — თქვა მან, — მცდარია, რადგან გამოჩვეული არ არის ხილი ადგილიდანვე გაიგზავნა დამპალი სახით, თუ როსტოვში არ გამოისყიდეს თავის ღროზე და დალბა.

— ხილი, — თქვა სასამართლო კოლეგიის წევრმა, — წარმოდგენს სახელწიფო ქონებას, რაც, ცხადია, დაცული უნდა იქნას დატაცებისა და გაფუჭებისაგან, მაგრამ ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ჩვენს ქვეყანაში და დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ უდანაშაულოდ არ დაესაჯოთო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი.

ამის შემდეგ გავარდა ჩემი სახელი მთელს რესპუბლიკაში, მაგრამ რა გავარდა!

ახლა ვიკითხოთ რა დამსახურება მიმიძღვის მე ჩემი ნაცნობი მანდილოსნის ქმრის განთავისუფლებაში?

სრულიად არავითარი.

არც სასამართლოს წევრებრისათვის, არც თავმჯდომარისათვის არც ერთი სიტყვა არ მითქვამს ამ საქმეზე.

მე ვხვდებოდი თვითულ მათგანს, ველაპარაკებოდი მათ ყველაფერზე, გარდა იმ საკითხისა, რომელიც მანდილოსნის ქმარს შეეხებოდა. სხვაფრივ როგორ მომეცილებინა თავიდან ახირებული ნაცნობი?

ან რა სინდისით უნდა მეთქვა მათთვის, ჩემი ნაცნობი ქალი თქვენ არ გენდობათ, ეშინია, ვითუ თქვენ უდანაშაულოდ დასაჯოთ შისი ქმარი, ამიტომ გთხოვთ ჩემი ხათრისათვის გაათავისუფლოთ-მეთქი!

მართალი კაცი გაამართლეს — მე აქ არაფერ შუაში ვარ. ეს ჩვენი სასამართლოს წმინდა თვისება და მოვალეობაა.

ასეა თუ ისე, ჩემი სახელი გავარდა, მაგრამ რა გავარდა!

ახლა გამოცდები დაიწყო უმაღლეს სასწავლებლებში და მე ქალაქის გარეუბნებში ვიმალები დანაშაულები. ვიცი ჩემი კარის წინ მთხოვენლების რიგი იქნება.

— არ მომეკაროთ! — გუვირი მე. — არ მომეკაროთ, თორემ მოვატყუილებთ ისე, როგორც მოვატყუილე ჩემი ნაცნობი მანდილოსანი. ვნახავ პროფესორებსაც, ლექტორებსაც, მაგრამ არც ერთ სიტყვას არ ვეტყვი თქვენი შვილების გამოცდების შესახებ.

თუ მისაღებია, ისეც მიიღებენ...

გ. ლიპაძე

წყნათის პიზაჟი



ბინის გამძირავებელი: — გასულ წელს ორმა მალაზიის გამგემ მთხოვა ოთახი შემენახა, სამმა ინსპექტორმა, თათქმის შვილმა უსაბამა. ნუთუ ყველა სხვა აგარაკზე წავიდა!



— კაჯან, შენ ამბობ, რომ ამ რჩევა წყალი ურევია? თუ ასეა, მანეთით შეტე მერვება!

ჭოჭოკური განდაგება ზეადმობრუნებული მაგიდა

ცხელა თბილისში, პანანება. გრილი ჰე-რის გრილი ჩასუნთქვა ერთ რამდნა ღრის, ყინულის დამზადებულმა ორგანიზაციამ თავისი გეგმა ალბათ იანვარში შეასრულა, რომ ზაფხულისთვის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის რაიონი იკისრა და ცხელ ღობიანდს გვახმებს, გვეფრთხილდება არ გავაკეთო!

ჯანდაცვის ორგანიზებე გავაპასუნდა.. თქვენ, მეგობარი დამსვენებელი, წალღერში ბრძანდებით, თუ კოფორში, ბაქოვანში, თუ ვახშაროზე, ბუნებამ გალალოთ, ტკბილად მოგახშაროთ თქვენმე შევებულების ყოველი დღე, ყოველი საათი, ყოველი წუთი. მაგრამ როცა საბატორიუმის ან დასასვენებელი სახლის ფარგლებში მყოფი რაიმე „წერილობის“ გამო ჰრეტენიის გუნებზე დადგებით და საიტირის წიგნს თხოვლობ, ერთხელ თუ მანც და-ტირის-ინსექტორის, ექიმ-ინსექტორის, სახელმწიფო სანიტარსექტორის, ინჟინერ-ინსექტორის, ექიზორ-ბუხალტერის, მანეო ნაწილის გამე მომზადების განყოფილების ექსპედიტორს, მონაგარიშეს, მოლოზერ-ინჟინერსა და იურისკონსულტს.

კიას, 42 თანამშრომელ ჰყავს და მის ფართოდ შევიწროებულ ოთახებში 30 მაგიდაზე მდებარე არ მტყარაკი საყინელო-ტექნიკის ღირებულება და მისი მანქანების ღირებულება და იმევე ღირსი ორი კაცის მუშაობა ზრტყდება, 42 თანამშრომლიდან თორმე ყოველივეს ფეხზე დაგს და უცდის იმ შიშს, რომელიც პირველად დაილოება, ამჟამებზე დადნის სადღესუფლებული ადგოა ანეკია მოახდინოს და დროებით მინისთავლის თავი ნამდვილ მისამსახურე ქლდ.

შტატის უაღვიღდვილები დაკავებული აქვთ: ჰიდროგეოლოგი განყოფილების გამგე, ინჟინერ-ჰიდროლოგს, ექიმ-ინსექტორის, სახელმწიფო სანიტარსექტორის, ინჟინერ-ინსექტორის, ექიზორ-ბუხალტერის, მანეო ნაწილის გამე მომზადების განყოფილების ექსპედიტორს, მონაგარიშეს, მოლოზერ-ინჟინერსა და იურისკონსულტს.

რასაკვირველია, ოღვით დაიწება კატორიკა იგი ფულის დოგებულ ფეხზე მდგომ მოლოზერს წარმოიძება, მაგრამ იურისკონსულტი რომ გაჭიბნაშია, თქვენს მტერს ასეთი! ეს კანონის ოღვით და უკანონოდ დაიკარული კაცი ძვე ღვამის დროსაც კი მუშაობს. მის მდგარიებაში მყოფი სხვა თანამშრომლები დაიწუნე კეთიბებინ: „ვალდებულია თუ დაწესებულება, რომ მუშაეს ნორმალურე თუ არა, რომ კაცს შეუტენას?“. „შოიძლია თუ არა, რომ კაცს მაგიდა სახლში ელდეს და დაწესებულებაში ჯამაირის დებულობა?“. და სხე. და სხე.

კურორტთა სამმართველოს ერთ დროს რაციონალიზატორები დომოუნდნენ. ზოგი მათგანი მოითხოვდა თანამშრომლების ე. წ. პოქოქეკურ „განდაგებას მაგოლდებთან (იხ. სურ. 1), მეორენი არევედნენ „გადმობრუნებული მაგიდას“ სისტემას (იხ. სურ. 2), მაგრამ ყურადღება არავინ მიაკცია და წინადადებები წინადადებებად დარჩა.

მაგრამ ეს უნდა მიექცია ყურადღება? ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელიც შედარებით ფართოდ არის მოწყობილი თიგის ოთახებში? ჯანმრთელობის სამინისტრო ჩა ჯანმრთელობის სამინისტრო, თუ სამუშაო-სანიტარული პირობების მნიშვნელობა კარგად არ ეცოდინება და ასევე ძიარფას რამეს სხვას დაუთბობს!


აი, ჩემო მეგობარი დამსვენებელი, ჩაგო დროს ატარებენ თბილისში, გვანდია სოცეში ის მუშაკები, რომლებმაც, სხვანა თუ ფეხზე ღვანა, დღეაღამ თქვენზე უნდა იფუქრობ, პირობები შევიკენან, დაასვენონ, თქვენ კი ყოველდღიურ „წერილობას“ გამო პირობების გუნებზე დებობი და საიტირის წიგნს მოითხოვთ.

8. იანდოშვილი

საქმე იმაშია, რომ კურორტთა სამმართველოს, ამ ბუტირის გამხარებელ ორგანიზაციაში



1.



2

*) პოქოქეკა - IIIaa (იხ. რეჟე-ქართული ლექსიკონი).



— აქ კაცი იჯდა, მეორე თავი სადილი შემეკვთა, ნუთუ ბუჯებში შევამეს!

კურორტთა სამმართველის ნაკლებ ურავლებსა კენ ბინების დამკრავებულთა სანიტარულ-საფარველო-სამშველიანების პირობებს.



ჩვეულებრივი დამე კურორტთა სამმართველოს აგარაკე.

მ. რ. თომასის წყევლა

ა. წ. 28 მისს ტუბულებელმა ლიდა მორგუნოვამ უცნობი მოქალაქისად იყიდა კაბა. ტუბულის მილიციამ გეო მიიტანა მორგუნოვას ახალნაყიდ კაბაზე, როგორც ნაპარჩევი და შეიღვეს კაბასთან ერთად პასპორტი და შრომის წიგნაკი ჩამოართვა. ლიდა მორგუნოვა მის შემდეგ დაღის მილიციაში, თავის პასპორტსა და შრომის წიგნაკს თხოვლობს, მაგრამ დაკარგული საბუთების მაგერ ასეთ „სახუბს“ დებულობს მილიციის უფროსის მოადგილის გრ. თომასისგან:

„მშოკო!

დაიბნე თუ მზა კარკაბა შენთან არის ამ ოჯახბრძანდების საბუთები. კაბასთან ერთად იყო ისინი. შეიძლება საპასპორტოზე გაქვს გადაცემული და აღარ გახსოვს..

... შე კარკაბა მასოვკა რომ საბუთები ერთად შეტრული იყო მის კაბასთან ერთად და დღევით შენს კაბინეტში ფარჯაიზე.

გრ. თომასი.“

ყოველივე ამის შემდეგ ერთი რომ გვაკვირვებს: კაბა ჩამოართვა, საბუთები დაუკარგა, სამი თვეა მილიციაში სარეულთ „ართობს“ მოქ. ლ. მორგუნოვას და წყევლის რაღას ერჩის, ის ოჯახბრუნებული უფროსის მოადგილე!

შემაჩვენებელი ანდაზები

1. ერთი გვინა კირიციას—ინტრიგაცა და კრიტიკაც.
 2. ჯერ შეილი არ ჰქვას ანგინას, სასუქს კი არქექს გამცისას.
 3. ექსპერტს წინ საქმე სდგია, სარჯს სარჯი მისტეპია.
 4. ბინა იცვლებოდა და ჯიბე იკუბოდაო.
- ნ. „საქმეს კურ უქალი კირილიო“ და „ორგან ვუმპობ, ჭირისო“.

3. მავაქადაშვილი



დათუნამ გახსნა თურმე
ღვინის ტრესტი მუხის ძირას,
კარგად ჰქონდა საქმეები,
ისვენებდა ყოველ კვირას.

მოადგილედ ყავდა კვერნა,
სალაროში იჯდა ჭოტი,
მდივანდ იყო კობტა ციყვი,
იგრილებდა სახეს ტოტი.

მგელი გახლდათ ბუხვალტერი,
და შიკრიკი — ყურცანცარა,
ერთი სიტყვით, ტრესტი იყო
და ღვინოსაც ჰქონდა ძალა...

შუაკაცად დათუნას
მიუგზავნა ტურამ მელა,
მელაკულა კაბინეტთან
მიცუნცულდა ნელა-ნელა,

კარზე თათი სამჯერ დაჰკრა
და თან ფრთხილად ჩაახველა,
პირად მდივანს გაუცინა,
კაბინეტში შეძვრა ხელად.

— დათუნას გაუმარჯოს,
არ მოგვაკლდეს შენი მადლი, —
თქვა მელამ და ძირს ჩამოდგა
ერთი კასრი წმინდა თაფლი.

— რად გარჯილხარ, მელაკულავე?
ჰკითხა დათვმა ბოხი ხმითა, —
რა ამბავი მომიტანე,
ხომ არავინ ითაღლითა?!

— რასა ბრძანებ, დათუნიავე,
სხვა საქმეზე გიახელი,
ძმაკაცი მყავს მოსაწყობი,
მომიმართო უნდა ხელი.

მოსაწყობზე მომაგონდა:
თქვენ საწყობის არ გყავთ გამგე,
გთხოვთ დანიშნოთ ჩვენი ტურა,
ეს პატივი ძმურად დამდე.

— ვნახოთ, ვნახოთ!.. — დათუნამ
ძმაკაცს ბეჭზე დაჰკრა თათი
და შეაქო მელაკულას
ეშპაკური მარიფათი...



(იგაზი)

დილით უკვე ყოვლისშემძლე
დათუნასთან ტურა გაჩნდა,
ჩაიბარა საქმეები
და საწყობის გამგედ დაჯდა...

ასე მიჰყვა დღეებს კვირა,
კვირას თვე და თვეს კვარტალი,
ელოდება დათუნია,
მაგრამ ძღვენი არსად არი.

მყინვარზე

ა.ა. ლონისა



— ჩვენმა სიყვარულმა, ჩემო
კარგო, უმაღლეს წერტილს მიაღ-
წია!



დაიბარა მელაკულა,
ბრძანა ტურაც მომგვარეთო!
რა შეენთხვათ, რად არ მთვლიან
მფარველად და მოყვარეთო!

გადაწყვიტა შეამოწმოს
როგორ უვლის საწყობს ტურა,
მზის ჩასვლისას დახედა კართან,
ტურა შიშით მიიწურა.

დათვმა უთხრა: — შენს საქციელს
რა ხანია ვაკვირდები,
აქ მოსვლისას გამხდარი ხარ,
შინ მსუქანი რად ბრუნდები? —

დათვს მიუგო სწრაფად ტურამ:
— არ გეგონოთ ბრალდებული,
კუჭის ტკივილს ვეღარ ვუძლებ,
სათბური მაქვს დადებული. —

არ ერწმუნა დათვი ტურას,
სწრაფი ჩხრეკა მოახდინა,
და სათბურმა, ღვინით სავსემ,
ძირს ტყაპანი მოადინა.

დათვმა ჰკადრა: — განთქმულია
ქურდობაში თქვენი გვარი! —
ტურამ თავი გაიმართლა:
— მელას მიაქვს ნახევარი... —

უცხად მელას ხმა მოისმა:
— დამისენით ცოცხალ-მკვდარი,
თაფლს რომ გვპარავ, სად მიგაქვსო,
უკან მომდევე! ფუტკართ ჯარი!.. —

დათვი მიხვდა ამ სიტყვებით
მელა თუ რას აყვედრიდა,
მიხვდა, მაგრამ, ჯარი უკვე
დაესია ყოველ მხრიდან...

აი, ასე გააძევეს
ტრესტის ყველა მტაცებელი:
წუწკი ტურა, მელაკულა,
ზღენძი დათვი, სახეხელი...

კ. გელათელი

ჩიტიკოსტონდენცის ნობათი



ქართული

ქილევ კარგი მკვლევარი

ქალაქ გულაუნიცი

(ავტობრანსის სალაროსთან)

- კოჯრის ბილეთი გაქვთ?
- გვაქვს.
- მომეციოთ სამი.
- რომელ საათისათვის?
- ექვსი საათისათვის.
- სამი ბილეთი ექვსი საათისათვის კიკეთში.
- არა, კოჯორში...
- კოჯორში... ერთი ბილეთი თხუთმეტ საათზე.
- არა, სამი ბილეთი თვრამეტ საათზე.
- წამი ბილეთი თვრამეტ საათზე კიკეთში.
- არა, კოჯორში.
- ინებეთ.
- • • • •
- მე თქვენ სამი თუმანი მოგიციოთ, ხურდა მერგება 2 მან. და 25 კაპიკი.
- ხურდა, ფუი, რა გულმა ვიწყვი ვარ!.. ინებეთ...

მგზავნი

თუ წყალია, წყალი იყო

ყველკარაქრევის თელავის რაიონულ კანტორას მთა ცივზე აქვს რძის მიმღები პუნქტი, სადაც რძის ჩაზარებლებს უმოწყალოდ ატყუებენ.



- ეს რა არის, რძის მაგიერ წყაროს წყალს გვაბარებ?
- მაშ რა ვქნა, რამდენჯერაც რძე მოვიტანე, ყოველთვის მითხარით — წყალია, ცხიმი არა აქვსო და თუ წყალია, ბარემ წყალი იყო!

სახეურის რაიონის სოფელ ქალაში მდინარე ყვირილაზე დაწყებული ხიდის მშენებლობა შუაზე მიატოვეს.

ნახ. მ. აბაშიძისა




— აი, როგორ ეხმარ ჩვენს თავმჯდომარეს თვითღირებულებების შემცირებუ, ხიდის საგრძეც ნახევრად შეამცირა!

ჩვენი წინადადება

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ მომხმარებელთა დროს გასატარებლად გამოუშვა ახალი საბავშვო ფეხსაცმელი. ფეხსაცმლის საპირის ფერი უახლოვდება იმ ფერს, რომლითაც შაპ-აბასი წვერს იღებავდა. ეს ფერი აფრთხობს ბავშვებს ერთიდან ორი წლის ასაკამდე. 1-2 წლის ბავშვთათვის აღნიშნული ფეხსაცმელი რეკომენდებული არ არის. რაც შეეხება 3-4 წლის ბავშვებს, აღნიშნული პირველი მოთხოვნების გასართობი ორი ღლის განმავლობაში ფეხის ქუსლზე უჩენს მტკივნეულ ბუზტულებს და ფეხსაცმლის ამ სახით ხმარება შეუძლებელი ხდება. ფეხის მთლიანად დაზიანება რომ თავიდან ავიცილოთ, ფეხსაცმლის საქუსლეს უნდა ჩაუტაროთ მცირე ოპერაცია (იხ. 1 და 2 სურ.). ასეთი ოპერაციის შემდეგ ფეხსაცმელი ადვილი მოსახმარია და მალეც ცვდება, რაც მომხმარებლის აღფრთოვანებას იწვევს.

გაუგებრობის შემთხვევაში უნდა მიმართოთ: ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ან მ. გ. კიკნაძეს.



ცაგერის რაიონის სოფელ თაბორის კოლმეურნეობას სარევიზიოდ ესტუმრა ოთხი კაცი. ერთს უნდა შეემოწმებინა კომბოსტოსი და კარტოფილის მოსავლის მდგომარეობა, მეორეს უნდა გამოერკვია ღორების საკვების ხარისხი, მესამეს აინტერესებდა მეფრინველეობის ფერმა და მეოთხე ამოწმებდა სოფლის კლუბის მუშაობას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ოთხივე რევიზორი კოლმეურნეობის კანტორის ქვემო სართულში ჩაიყვანა. მინებჩამტვრეულ, დანახვიანებულ შენობის კარი გაიღო და ჩამოსულებს დარბაზში შეუძღვა. ეს დარბაზი ერთსა და იმავე დროს აღმოჩნდა კომბოსტოსი და კარტოფილის შესანახი საწყობი, ღორების საზრდოს მოსახარში ადგილი, მეფრინველეობის ფერმა და... სასოფლო კლუბი.

კიდეც კარგი, შესამოწმებელი ობიექტები ერთსა და იმავე შენობაში იყო მოთავსებული, თორემ თაბორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოთხად ხომ არ გაიჭრებოდა, რომელ ერთ რევიზორს გაუძღვებოდა?

ცაგერალი

მზაწველი კაგა

კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საბავშვო ბაღის ბავშვები ხშირად უპატრონოდ არიან მითოვებულნი და გზოში სძინავენ.




— გაიღვიძე, თინკო, და არ შეგეშინდეს, ფისო ვარ, მომვლელი ქალი არ გეგონო!

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირა-იუმორისტული ჟურნალი „ნივანი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-48.

ბელომწ. დასაბ. 1952 წ. 18/VIII. სტამბა „ხარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2040 გაზოც. № 15. ტირ. 15.000. შუ 0543



კელსინკის რინგზე

სამხრეთკორეელმა მოკრივემ დაამარცხა ამერიკელი მოკრივე -
ოლიმპიადის კრწიკიდან

ნან. ი. თბილელისა

— სამხრეთკორეელია და ისე ურტყამს, თითქოს ჩრდილოკორეელი იყოს!